# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ახვლედიანის საქმიანობის წლიური ანგარიში

თბილისი

2024 - 2025 წწ.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო წარმოადგენს ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე - „საკრებულოს რეგლამენტით“.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვმონაწილეობდი საკრებულოს, ბიუროსა და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებში.

კომისიებში ჩემი აქტივობები:

- ✓ სარევიზიო კომისიის წევრი;
- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრი.

ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია, ვუზრუნველყო მოქალაქეთა პრობლემატური საკითხების განხილვა და მათზე მყისიერი რეაგირება. მქონდეს მუდმივი კომუნიკაცია თბილისის მოსახლეობასთან და მათთან ერთად შევძლო ქალაქის პრობლემების ძირეული აღმოფხვრა.

## <u>საკრებულოს სხდომები</u>

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, დავესწარი 15 სხდომას.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული)
- დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია პერსონალური ასისტენტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელსაყრელი პროექტების შექმნა, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.
- „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. მოქმედი რედაქციის მიხედვით, თვეში ფინანსდებოდა არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ლიმიტი გაიზარდა 300 ერთეულით, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 2400 ბენეფიციარი.
- მიმდინარე წელს ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს დაემატა ახალი ქვეპროგრამა - რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 300,0 ათასი ოდენობით.
- ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში კერძოდ, „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესში.
  წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ფულადი დახმარება განსაზღვრულ იყო 1000 (ათასი) ლარის ოდენობა, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ფულადი დახმარება განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დასრულდა 7 დიდი და მცირე ზომის სკვერისა და პარკის მოწყობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20-ზე მეტ დიდ და მცირე ზომის სკვერს, პარკს და სარეკრეაციო სივრცეს. აღნიშნული პროექტებიდან გამოსაყოფია:

**ვერის პარკი**



**გლდანის პატარა ტბის გარშემო რეკრეაციული სივრცე**



ე.წ. სამგორის პარკი

<u>ბიუროს სხდომები</u>

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 20 სხდომა, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგების ჩართულობით მოხდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

## <u>სატრანსპორტო საკითხთა კომისია</u>

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 13 სხდომა, განხილულ იქნა 27 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. მონაწილეობა მიღებული მაქვს 12 სხდომაში.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან მნიშვნელოვანია:

- 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე განხილული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 826 308.6 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა 631 765,7 ათასი ლარით, ხოლო ტრანსპორტის განვითარების პროგრამა 530,059.7 ათასი ლარით.

- 2024 წლის 27 დეკემბერს განხილული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“ (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“. სასესხო შეთანხმების თანახმად, სასესხო შეთანხმების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ბანკმა მსესხებელს ასესხა თანხა ასოცდახუთი მილიონი ევროს (EUR 125,000,000) ოდენობით.

- 2025 წლის 28 თებერვლის სხდომაზე განხილული იქნა ,,ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი - პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
  წარმოდგენილი საგრანტო შეთანხმების შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ფონდის რესურსებიდან გადაეცა გრანტი 500 000 ევროს (ხუთასი ათასი ევრო) ოდენობით, საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსების მიზნით.
  EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხით რეაბილიტაცია ჩაუტარდება თბილისის მეტრო სადგურებს. კერძოდ, განხორციელდება მეტროს სადგურების ადაპტირება შესაბამისი საჭიროებების მქონე პირებზე, მოხდება სადგურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ესკალატორების რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება.

## სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 13 სხდომა და განხილულ იქნა 31 საკითხი. დავესწარი 12 სხდომას, განხილულ იქნა 28 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ სარევიზიო შემოწმება დაიგეგმა 11 ორგანიზაციაში. აქედან, 5 ორგანიზაციაში შემოწმება დასრულებულია, სადაც შემოწმების შედეგად მ შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები. შემოწმებული ორგანიზაციების მასალები კომისიის სხდომაზე იქნა განხილული. დანარჩენ 6 ორგანიზაციაში სარევიზიო შემოწმება-განხილვა მიმდინარეობს.

## მოქალაქეებთან შეხვედრა

მოგეხსენებათ, ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პირველი მოადგილისა და ასევე კომისიების - „სარევიზიო კომისია“ და „სატრანსპორტო საკითხთა კომისიის“ წევრის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დედაქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომისიისა თუ სამსახურების ჩართვა სამუშაო პროცესში და მათი გადაჭრა.

ასევე, მიმდინარე წლის სამუშაო პერიოდში მქონდა შეხვედრა ათეულობით მოქალაქესთან. როგორც იცით, მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი დღე. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს.

გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი სამდივნო ახორციელებს მოქალაქეთა ზარების მონიტორინგს და შესაბამის შუამდგომლობას უწევს თითოეულ მათგანს თავიანთი საჭიროებიდან გამომდინარე, იქნება ეს რომელიმე რაიონული გამგეობა თუ მერიის საქალაქო სამსახური. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვიყოთ ჩართულები მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების რითმში.

<u>დასკვნა</u>

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი აქტივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:**

- ✓ ჩატარებული საკრებულოს სხდომა - 16
- ✓ ბიუროს სხდომა - 20
- ✓ მიღებული განკარგულება - 742
- ✓ მიღებული დადგენილება - 103
- ✓ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხდომა - 14
  განხილული საკითხები - 27
- ✓ სატრანსპორტო კომისიის სხდომა -12
  განხილული საკითხები - 26
- ✓ სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა - 12
  განხილული საკითხები - 28

  აქვე მინდა მადლობა გადავუხადო თბილისელებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სტაბილიზაციის საკითხებში.

პატივისცემით,

გიორგი ახვლედიანი